ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3429729

ნომერი: AR1527351

თარიღი : 25.07.2017

გაცემის თარიღი : 26.07.2017

გაცნობის თარიღი : 26.07.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 80 , (ნაკვეთი N1/34) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით კაკოიშვილი პ/ნ 21001038536
- თერჯოლა დ.კლდიაშვილის ქ. N 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების 37-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, აკრძალულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიწის ნაკვეთის შემოღობვა ან/და მიწის ნაკვეთის შესასვლელთან ბარიერების მოწყობა (გარდა სახანძრო უსაფრთხოების მოქმედი რეგლამენტებით დაშვებულისა) ამასთან ორგანიზებული სადღეღამისო სამორიგეო გამშვები საგუშაგო ჯიხურის, პირველი კლასის შენობის განთავსება სამსახურს თავისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, არ მიაჩნია განთავსება შესაძლებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა

ასევე გაცნობებთ: იმისათვის, რომ შეძლოთ დაჩქარებული მომსახურების საფასურირის, თქვენს მიერ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, საჭიროა აირჩიოთ ნომენკლატურა - „საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა სერვისებზე/მოსაკრებლებზე გადახდილი თანხის უკან დაბრუნება“ და შეავსოთ სავალდებულო ველები წარმოსადგენი დოკუმენტაციის pdf ფაილის სახით ჩამონათვალი სიის გათვალისწინებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.